პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ერთ შესახვევს მიენიჭოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:471071 Y:4613181
სამსონ დადიანის ქ.
X:471191 Y:4613178
X:471060 Y:4613128
I შეს
X:471251 Y:
სამსონ დადიანის ქ.
X:471031 Y:4613066

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ: გიორგი ოსეფაშვილი

მცხ: ქ. თბილისი, კოჯორი, ბეთანია

ტელ: 595 300603

პ.ნ : 01011001532

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ რომ, ჩვენი საცხოვრებელი ტერიტორია არის ახალი დასახლება, არ გვაქვს კონკრეტული მისამართი, რაც აფერხებს ჩვენს მისამართზე მოგნებას (ფოსტა, სასწრაფო და ა.შ.).

გთხოვთ, მოგვანიჭოთ ქუჩის დასახელება.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.81.01.101.006

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892023322465 - 27/11/2023 12:42:26	12/01/2024 13:57:50

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი			
01	81	01	101/006

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2717.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **81.01.02.081;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1

მისამართი: ქალაქი თბილისი , კოჯორი, ბეთანია ;
ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი , სოფელი კიკეთი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892021064167 , თარიღი 13/12/2021 09:56:16
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/12/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , გაფორმების თარიღი:07/09/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N ბ-19/0123299816-17 , დამოწმების თარიღი:20/11/2023 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:24/06/2021 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
გიორგი ოსეფაშვილი ,P/N: 01011001532

მესაკუთრე:
გიორგი ოსეფაშვილი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022121492 თარიღი 21/02/2022 12:44:17	საგანი:60 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სერვიტუტის უფლება;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/02/2022	**წერილი, რეესტრის ნომერი N16-01220342876, დამოწმების თარიღი03/02/2022, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო,**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეგი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და აპავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური სარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032422917**
თარიღი: **16/08/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი გიორგი ოსეფაშვილის 2024 წლის 16 იანვრის საქმე #19/032401620-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს კიკეთში უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას (ს.კ. 01.81.01.101.006).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ კიკეთში, უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0124261845**
თარიღი: **17/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.08.2024 წლის #03-032422917 (16.08.2024 წ. #14-01242291215-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გაბოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სამსონ დადიანი

(1886-1937)

ქართველი პოლიტიკოსი, იურისტი, პუბლიცისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

სამსონ პლატონის ძე დადიანი დაიბადა 1886 წლის 23 დეკემბერს, ზუგდიდის მაზრის, სოფელ მოიდანახეში. დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში (1908). 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის დროს, მათ მამულში საეკზეკუციო ჯარების დაბანაკების შემდეგ, მამა — პლატონ დადიანი — გლეხებმა მოკლეს. XX საუკუნის 10-იანი წლებიდან იმდროინდელ პრესაში იბეჭდებოდა მისი წერილები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მას ასევე ეკუთვნის 1905 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილი დრამა „ჯვარედინ გზაზე“ და ისტორიული დრამა „გიორგი სააკაძე“.

1908 წლიდან საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი იყო. 1917 წლისის 16 აპრილს სიმონ დადიანი მონაწილეობდა ქართული პარტიების ინტერპარტიულ შეკრებაში. ნოემბერში შემდგარ პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად და მდივნად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან. 1918 წლის ივნისიდან იყო ეროვნული საბჭოს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის), წევრი. შედიოდა სოციალილტ-ფედერალისტთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში. 1919 წლის აგვისტოში, დამატებითი არჩევნების დროს, აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში.

შედიოდა 1918 წლის 6 ივნისს არჩეული „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენ კომისიაში". 1918 წლის ივლისში აირჩიეს კომისიის მდივნად. როდესაც კომისიამ გადაწყვიტა, მუშაობის დაჩქარების მიზნით, კონსტიტუციის ცალკეული თავები შესამუშავებლად დაენაწილებინა კომისიის წევრებისათვის, სიმონ დადიანს დაევალა კონსტიტუციის ერთ-ერთი თავის შემუშავება — „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ", რომელიც კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავის სახით განხორციელდა. 1921 წლის იანვარში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეხუთე კონფერენციაზე აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის ხუთკაციან პრეზიდიუმში, სადაც პარტიის თავმჯდომარის ამხანაგის (მოადგილის) მოვალეობას ასრულებდა.

1921 სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ მემარჯვენე ფედერალისტების შემადგენლობაში დარჩა და მტკიცედ იდგა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ნიადაგზე. 1922 წლიდან არჩეული იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრად, მუშაობდა ბანკის იურისკონსულტად. ოსიკო ბარათაშვილსა და კირილე ნინიძესთან ერთად 1924 წელს იცავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო პირთა ჯგუფს. 1924 წლის თებერვლიდან ივლისამდე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან, დამკომში მან შეცვალა გრიგოლ რცხილაძე. დამკომი დატოვა, რადგან არ ემხრობოდა შეიარაღებულ აჯანყებას. 1924-1925 წლებში დაპატიმრებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ მას შეუფარდა 3-წლიანი პატიმრობა, თუმცა, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისთვის არასაშიში პირი, სასჯელისგან გაათავისუფლა. აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1937 წელს იგი დააპატიმრეს და 10 დეკემბერს დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრიტეს 11 დეკემბერს, ღამით.